თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 7

ქ.თერჯოლა 14 მაისი 2024 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:** 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. თემურ ქოჩიაშვილი, 7. გრიგოლ გიორგაძე, 8. გოჩა ვერულაშვილი, 9.ტარიელ ფანჩულიძე, 10. შალვა ჭანკვეტაძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე.

**საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა:** 12 წევრი
**დამსწრე წევრთა რაოდენობა:** 10
**კვორუმი:** 7 წევრი

## დღის წესრიგი:

1. „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსაწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-2824099141 წერილი, 08/04/2024წ);

/მომხს: გ.გიორგაძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) **ს.კ 33.07.37.399** სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282413421 წერილი, 13/05/2024წ);

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) **ს.კ 33.12.34.494** სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული

სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282413422 წერილი, 13/05/2024 2).

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ - გრიგოლ გიორგაძემ ბიუროს წევრებს გააცნო ინფორმაცია „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსაწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოებრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - პროექტით განსაზღვრულია წარმატებული სპოტსმენის ასაკის ცვლილება - 18-26 წლის ნაცვლად 14-26 წელი. ასავე განსაზღვრულია ფულადი ჯილდოს გაზრდა:

წარმატებული სპოტსმენი:

საქართველოსჩემპიონატის I ადგილი – 600 ლარი; II ადგილი – 500; III ადგილი – 400 ლარი.

წარმატებული მწვრთნელი :

საქართველოსჩემპიონატის I ადგილი – 500 ლარი; II ადგილი – 400; III ადგილი – 300 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე-10, წინააღმდეგი-0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსაწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოებრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) ს.კ **33.07.37.399** სსიპ - სახელმწიფო წონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ

გადაცემის შესახებ - აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, მასზე განხორციელდება საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ეწრის სატრანსპორტო კვანძზე მოძრაობის ნაკადების სრულყოფის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) ს.კ 33.07.37.399 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

3.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - ბადრი ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ 33.12.34.494 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ- აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცემა სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, საკუთრებაში გადაცემის მიზნით. ჰოლდინგი გეგმავს სოფელ ახალთერჯოლის საექიმო ამბულატორიის შენობის აშენებას.

**აზრი გამოთქვეს:** ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -10 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ 33.12.34.494 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

*თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა 2024 წლის 14 მაისის ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი